საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ისევ გრძელდება რუსული კანონის წინააღმდეგ მშვიდობიანი

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

დემონსტრაციის რეპრესიული მეთოდებით დაშლის მცდელობა, რაც მიზნად ისახავს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების მუხტის შესუსტებას

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ისევ გრძელდება რუსული კანონის წინააღმდეგ მშვიდობიანი დემონსტრაციის რეპრესიული მეთოდებით დაშლის მცდელობა, რაც მიზნად ისახავს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების მუხტის შესუსტებას. ადგილი აქვს აქტიური სპეციალური საშუალებების ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე საერთაშორისო სტანდარტის დარღვევით გამოყენებას ახლო მანძილიდან. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო (21:55) მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ აქტიური სპეციალური საშუალებების: სავარაუდოდ, წიწაკის სპრეის გამოყენება, რათა დემონსტრანტებს დაეტოვებინათ პარლამენტის უკან მიმდებარე ტერიტორია. როგორც ირკვევა, წიწაკის სპრეი ახლო მანძილიდან, სახის არეში დამიზნებით გამოიყენებოდა. ვითარებას მნიშვნელოვნად ამძაფრებს ის, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ადმინისტრაციული წესით დაკავებული და ნაცემია რამდენიმე აქტივისტი.

მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შეწყვიტოს მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენება;

- მისცეს აქციის მშვიდობიან მონაწილეებს აქციის გაგრძელების შესაძლებლობა, და ინციდენტურ გადაცდომებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, იმოქმედოს მხოლოდ ინდივიდუალური ღონისძიების ფარგლებში, რადგან აქცია ითვლება მშვიდობიანად მანამ, სანამ მისი სრული უმრავლესობა ინარჩუნებს ასეთ სახეს.

- სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მყისიერად დაიწყოს გამოძიება და ჩაატაროს ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება, რათა გამოვლინდეს და რეაგირება მიეცეს სამართალდამცავთა მიერ ძალის გადამეტების ყველა ფაქტს.

- სახალხო დამცველმა მოინახულოს დაკავებულები და საზოგადოებას აცნობოს მათი ჯანმრთელობისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

ფოტო: რადიო თავისუფლება